ხაშურის მოამბე

№30 (231) 5 აგვისტო, ორშაბათი, 2019 წელი

გომში პოლიციის ახალი შენობა გაიხსნა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა - კახაბერ საბანაძემ და ლევან კაკავამ, საპოლიციო ინფრასტრუქტურის განახლების პროექტის ფარგლებში, შიდა ქართლის რეგიონში, სოფელ გომში პოლიციის ახალი შენობა გახსნეს. მშენებლობა მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა. ღონისძიებას შიდა ქართლის გუბერნატორი გიორგი ხოჯევანიშვილიც დაესწრო.

აღსანიშნავია, რომ გომში, პოლიციის შენობის არარსებობის გამო, პოლიციელებს მორიგეობა ავტომობილებში უწევდათ, რაც მათ მდგომარეობას გაუსაძლისს ხდიდა. პოლიციის ახალი შენობა 15 თა-

ნამშრომელზეა გათვლილი. მოწყობილია დეტექტივებისა და გამომძიებლების სამუშაო სივრცე, დასაკითხი, ამოსაცნობი და ნივთმტკიცების ოთახები. შენობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე კახაბერ საბანაძე, შენობის დათვალიერების შემდეგ, ამავე განყოფილების თანამშრომლებს გაესაუბრა და სისტემური განახლების ფარგლებში მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები გააცნო.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, რეფორმების ფარგლებში, მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებს, მათ შორისაა ბინათმშენებლობა და ახალი საპოლიციო ინფრასტრუქტურის შექმნა. უკვე ფუნქციონირებს რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე საპოლიციო სერვისცენტრი - საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრი.

მხოლოდ 2018 წელს, შიდა ქართლის რეგიონს, სწორედ საპოლიციო ინფრასტრუქტურის განახლების პროექტის ფარგლებში, 28 ავტომანქანა, მათ შორის 20 მაღალი გამავლობის, რთულ რელიეფურ პირობებზე მორგებული ავტომობილი და 223 სამხრე კამერა გადაეცა.

საინფორმაციო შეხვედრა ნატოსა და ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხებზე

ხაშურის სპორტკომპლექსის საკონფერენციო დარბაზში ნატოსა და ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები და დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

შეხვედრას უძღვებოდნენ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი ირინა შამილაძე და ამავე ცენტრის მოწვეული სპიკერი, თავდაცვის ინსტიტუციური სკოლის წარმომადგენელი, საინფორმაციო ომების მკვლევარი დავით ძიძიშვილი.

დავით ძიძიშვილი აუდიტორიას ესაუბრა საქართველოს ევროპულ და ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესზე, ამ გზაზე არსებულ მიღწევებსა და გამოწვევებზე, ასევე ანტიდასავლური პროპაგანდის საფრთხეებსა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობაზე.

შეხვედრის ბოლოს გაიმართა საინტერესო დისკუსია. აღინიშნა, რომ რეგიონებში საინფორმაციო შეხვედრების გამართვა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს იმ უარყოფითი ცრუ მითების მსხვრევას, რაც საზოგადოებაში სხვადასხვა პროპაგანდისტული გზებით ვრცელდება.

შეხვედრა აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერილი პროექტის „დასავლური ინტეგრაციის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა რეგიონებში“ ფარგლებში ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჩართულობით მოეწყო.

(ინფორმაცია ნატოს შექმნის შესახებ იხ. IV გვერდზე.).

შიდა ქართლის რწმუნებული ხაშურის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობის პროცესს გაეცნო

შიდა ქართლის რწმუნებულმა გიორგი ხოჯევანიშვილმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ხაშურში მიმდინარე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, ხაშურში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სტადიონის მშენებლობა დაიწყო. სამუშაოების ფარგლებში ტერიტორიაზე მოეწყობა ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედანი სპორტული განათებით და სარწყავი სისტემით. ასევე, მოეწყობა ტრიბუნები და ღია ავტოსადგომი, სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდება დამხმარე შენობა-ნაგებობები. პროექტი, ითვალისწინებს საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობას.

სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლები მშენებარე სტადიონის მიმდებარედ, მდინარე სურამულაზე ნაპირსამაგრი კედელი მოეწყო, რომელიც უხვი ნალექის მოსვლის შემთხვევაში მოსახლეობას საფრთხეს მნიშვნელოვნად აარიდებს.

რწმუნებული ბორჯომის ქუჩაზე, ავტომაგისტრალის გასწვრივ მდებარე

ღობეების სამშენებლო პროცესსაც გაეცნო. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია 2499 გრძ/მ გზაზე არსებული ღობეების განახლება. სამუშაოებს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი ახორციელებს.

„ხაშურის მუნიციპალიტეტში და კერძოდ ხაშურში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი მიმდინარეობს, რომლის გარკვეული ნაწილიც წლის ბოლომდე დასრულდება. სურამულაზე ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობის გარდა, იგეგმება დაბა სურამში, მდინარე სურამულას ერთ-ერთ სტრატეგიულ მონაკვეთზე გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს სტიქიით გამოწვეულ რისკებს. მნიშვნელოვანია ახალი სტადიონის მშენებლობა, რაც ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა სახის სამშენებლო სამუშაოები რეგიონის მასშტაბით ინტენსიურად მიმდინარეობს, რაც რა თქმა უნდა, როგორც მოსახლეობის, ისე მუნიციპალიტეტების საჭიროებებზეა მორგებული.” - აღნიშნა გიორგი ხოჯევანიშვილმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის № 78 დადგენილებით.

დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 13 606.1 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნაშთის სახით, ირიცხებოდა 1 838,1 ათასი ლარი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების საფუძველზე განხორციელდა დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და 2019 წლის 1 ივლისის მდგომარეობით 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 22 832 ათასი ლარით, რაც 9 226 ათასი ლარით აღემატება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს.

2019 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, შემოსულობების საკასო შესრულებამ 9 315,8 ათასი ლარი შეადგინა,რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 83,5%, ხოლო წლიური გეგმის 44,2%-ს შეადგენს. 2019 წლიდან, გათანაბრებითი ტრანსფერის და საშემოსავლო გადასახადის ნაცვლად, მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავლად განისაზღვრა დამატებითი ღირებულების გადასახადი. რაც შეეხება შემოსულობების გეგმის შესრულებას, ცალკეული სახეობების მიხედვით, შემდეგნაირად გადანაწილდა:

შესაბამისი პერიოდის გეგმასთან მიმართებაში გადასახადების გეგმა შესრულდა - 98,8%-ით (6 474,0 ათასი ლარი), მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადი - 91,7%-ით, საწარმოთა ქონების გადასახადი - 25%-ით,ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი - 120,5%-ით, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი - 26,9%-ით, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი - 13,8%-ით.

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა - 94,5%-ით (717,1 ათასი ლარი), მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 87,5%-ით, მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის - 135,2%-ით,მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 77,9%-ით, შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან - 87,6%-ით, შემოსავალი მიწის იჯარიდან –80%-ით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლების გეგმა შესრულდა – 163%-ით.

2019 წლის 1 ივლისის მდგომარეობით შემოსულობების საერთო ოდენობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხვედრითი წილი შეადგენს 50,9%-ს (1 880,2 ათას ლარს), „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გათვალისწინებულია- 225,0 ათასი ლარი, მიღებულია – 112,8 ათასი ლარი.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პოექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 4 402,6 ათასი ლარი ინფრასტუქტურული პროექტების განსახორციელებლად, კერძოდ, აღნიშნული განკარგულებით გათვალისწინებულია ბიჯნისის წყლის სათავე ნაგებობის, მაგისტრალის, რეზერვუარისა და დასახლებების ჯგუფური მიწოდების სისტემის მოწყობა (პირველი ეტაპი), დაბა სურამში, ჩუმათელეთის დასახლებაში, თამარ მეფის პირველი და მესამე ჩიხების მოასფალტება, სოფელ ვაყაში გზის მოასფალტება, სოფელ ხცისიდან სოფელ კრისხევამდე გზის მოასფალტება და ხაშურში, ბორჯომის ქუჩაზე, ავტომაგისტრალის გასწვრივ ღობეების მოწყობა.

„სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის 557 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 794 046 ლარი ქალაქ ხაშურში მდინარე სურამულას ნაპირსამაგრი კედლების გამაგრება-რეაბილიტაციის განსახორციელებლად.

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ „ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის 13 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 910 000 ლარი, ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის, ხოლო ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად 180 868,24 ლარი. „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის 554 განკარგულების საფუძველზე, გამოიყო 182 003 ლარი.

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის 45 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 844 000 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

2019 წლის 1 ივლისის მდგომარეობით გადასახდელების საკასო შესრულებამ 8 678,72 ათასი ლარი შეადგინა,რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 83%-ს შეადგენს,ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, ექვსი თვის განმავლობაში, გასაწევი ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების გეგმის შესრულება გადანაწილდა შემდეგნაირად: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება -91,8% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 15,7%), თავდაცვა - 93,2% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 0,7%), ეკონომიკური საქმიანობა - 60,8% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 22,9%), გარემოს დაცვა - 89,1% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 6,9%), საბინაო–კომუნალური მეურნეობა – 75,4% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 10,7%), ჯანმრთელობის დაცვა - 94,3% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 0,5%), დასვენება, კულტურა და რელიგია -99,1% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 20,6%), განათლება - 100% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 13,8%), სოციალური დაცვა - 96,5% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯში 8,2%, ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა ეკონომიკური კლასიფიკაციის ჭრილში შემდეგნაირად შესრულდა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები - 95,8%-ით, სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯები-89%-ით, სუბსიდიები-97,4%-ით, გრანტები-98,9%-ით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 97%-ით, სხვა ხარჯები - 87,5%-ით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 66,5%-ით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №78 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრა, 30,0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების საფუძველზე. 2019 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, სოფელ ჩორჩანაში, გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე, გზის სავალი ნაწილის სარეაბილიტაციო აღდგენითი სამუშაოებში მონაწილე პერსონალის კვებითი მომსახურეობის უზრუნველყოფისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 11 თებერვლის №540 ბრძანების საფუძველზე, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 1,0 ათასი ლარი, ხოლო 2019 წლის 11 აპრილის 870 ბრძანების სფუძველზე სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის გამოიყო 4,0 ათასი ლარი.

ლელა მაჭარაშვილი,
საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

შეხვედრა გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან

საქართველოს სახალხო დამცველის გენდერის დეპარტამენტის წარმომადგენლები - ანა ლობჟანიძე და გვანცა ხარატიშვილი ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს შეხვდნენ.

შეხვედრა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში - „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში" შედგა, რომელსაც სახალხო დამცველის ოფისი ახორციელებს და აწარმოებს თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკის კვლევას.

კვლევის მიზანია შეფასდეს,თუ რა ღონისძიებები დაიგეგმა და განხორციელდა თვითმმართველი ორგანოების მხრიდან გენდერული თანასწორობის და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით. კვლევა ასევე შეეხება ოჯახში ძალადობის, ადრეულ ასაკში ქორწინების, ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების, ქალთა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართულობის და სხვა საკითხებს.

შედგა საინტერესო საუბარი, რომელიც შეეხო ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებულ გენდერულ ვითარებას, ქალთა პრობლემებსა და გამოწვევებს, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების ანალიზს გენდერულ ჭრილში.

- ავიცრათ და ვიყოთ დაცულნი -

იწყება პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია

,,ხაშურის მოამბე“ ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს სტუმრობდა, ერთ-ერთი მწვავე ინფექციური დაავადების პაპილომა ვირუსის შესახებ ინფორმაციის მისაღებად. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, იწყება ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, რის შესახებაც საზოგადოებრივი

ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა დავით ჩიქოვნმა გაზეთთან ისაუბრა. რა არის პაპილომა ვირუსი, რა საფრთხის შემცველია, როგორ დავიცვათ მისგან თავი, ამ და სხვა კითხვებზე პასუხს წინამდებარე ინტერვიუდან მიიღებთ.

- ბატონო დავით, გვიამბეთ უფრო ვრცლად პაპილომა ვირუსის შესახებ...

– პაპილომა ვირუსი ერთ-ერთი მწვავე ინფექციის წყაროა, რომელიც იწვევს, საშვილოსნოს ყელის სიმსივნეს და ეს ვირუსი ქალების თითქმის 71 პროცენტში ხდება ამ დაავადების გამომწვევი. ვირუსს გააჩნია რამდენიმე გენოტიპი, თუმცა ყველაზე დიდი საფრთხის შემცველი არის 16 და 18 გენოტიპი, სწორედ ესენი იწვევენ საშვილოსნოს ყელის კიბოს. რაც შეეხება მე-6 და მე-11 ტიპებს, რომლებიც პაპილომა ვირუსების ძალიან ხშირი და გავრცელებული ტიპებია, ისინი არ იწვევენ სიმსივნეებს.

- რა ტიპის ვაქცინაა, ამჟამად საქართველოში შემოსული?

– არსებობს 2 და 4 ვალენტიანი ვაქცინები, ჩვენთან შემოსულია 4 ვალენტანი ვაქცინა. ვაქცინა საკმაოდ მაღალი ხარისხისაა და მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერაა შემოწმებული და რეკომენდებული. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ეს ვაქცინა 2006 წლიდან დაინერგა და საკმაოდ ძვირადღირებული პროდუქტია, ამიტომ სახელმწიფოებს უჭირთ ამის შეძენა, თუმცა, ჩვენმა ქვეყანამ, 2017 წლის 1 დეკემბრიდან, სახელმწიფო პროგრამაში ჩართო აღნიშნული ვაქცინა. 2017 წლიდან, ეტაპობრივად, დაიწყო აცრები თბილისში, ქუთაისში და აჭარის რეგიონში.

- რა ასაკობრივი ჯგუფისთვისაა ეს ვაქცინა?

– იცრება 9-13 წლამდე გოგონები. აცრა ყველაზე ეფექტურია სქესობრივი ცხოვრების დაწყებამდე, რადგანაც ინფექცია სწორედ სქესობრივი გზით გადადის.

- როდის შეიძლება მოსახლეობისთვის აღნიშნული ვაქცინით სარგებლობა?

– 1 აგვისტოდან უკვე ბრძანება გამოვა, რომ ვაქცინაცია შევიდეს სახელმწიფო პროგრამაში. თუმცა, ჩვენს რაიონში სექტემბრის თვიდან ველოდებით ვაქცინაციის დაწყებას, რადგანაც მოგვიწევს სკოლებში შესვლა და მშობლებთან გასაუბრება აცრებთან დაკავშირებით.

- მაქსიმალური ეფექტის მისაღებად რამდენჯერ უნდა აიცრას პიროვნებამ?

– აცრა ორჯერადია: პირველადი და ექვსი თვის შემდეგ განმეორებით, მაქსიმუმ თორმეტი თვის შემდეგ. გასულ წლებში, აცრა სამჯერადად ხდებოდა, თუმცა მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ რეკომენდაცია გასცა, რომ დაბალ ასაკში საკმარისია ორჯერ აცრაც. რაც შეეხება მოზრდილებში სამჯერაა საჭირო, უფრო მეტი ეფექტის მისაღებად და სრული იმუნიტეტის ჩამოსაყალიბებლად. ვაქცინაცია 95-100%-იან ეფექტს იძლევა.

- არის თუ არა ვაქცინა შემდგომი გართულების გამომწვევი?

– ვაქცინა არის სრულიად უსაფრთხო, თუმცა შესაძლოა 0,5 პროცენტში გამოიწვიოს უმნიშვნელო გართულება და ეს გამოიხატება მხოლოდ და მხოლოდ სიცხის აწევით, რაც სხეულში უცხო ცილის მოხვედრამ შეიძლება გამოიწვიოს. აქვე აღვნიშნავ, რომ ამჟამად, ხაშურში, სამედიცინო პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგები და შესაბამისად გადამზადდნენ. აცრები სამედიცნო დაწესებულებებში მოხდება.

- გარკვეული უნდობლობა არსებობს მოსახლეობაში აცრებთან დაკავშირებით, ამ ვაქცინას როგორი წინაპირობა აქვს?

– პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო აცრებთან დაკავშირებით გარკვეული სკეპტიციზმი იყო, თითქოს ის იწვევდა უშვილობას და ა.შ, მაგრამ ეს, ცხადია, სიმართლეს არ შეესაბამება. ჩვენი გამოცდილებიდან გეტყვით რომ გასულ წლებში ვაქცინაცია ჩემმა თანამშრომელმა ქალბატონებმა ჩაიტარეს და ორ მათგანს ერთი წლის შემდეგ შვილი შეეძინათ. ამასთან დავსძენ, რომ აცრა ჩემს შვილებსაც ჩავუტარე. ასე, რომ მშობლებს მოვუწოდებ, აცრან შვილები და იყვნენ დაცულნი!

თინა ახალკაცი

„საარჩევნო განვითარების სკოლამ“ პირველი „კურსდამთავრებულები“ გამოუშვა

საქართველოში, 2015 წლიდან ცენტრალური საარჩევნო კომისია, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს სახელწოდებით „საარჩევნო განვითარების სკოლა”. პროექტის მიზანია გაიზარდოს სამოქალაქო ჩართულობა და არჩევნებზე აქტივობა ახალგაზრდებში. წელს ტრენინგი ერთდროულად ტარდებოდა თბილისსა და 25 მუნიციპალიტეტში. აღსანიშნავია, რომ ხაშური, აღნიშნულ პროექტში, წელს, პირველად ჩაერთო და საკმაოდ წარმატებულად. ტრენინგები №35 ხაშურის საოლქო-საარჩევნო კომისიაში გასულ კვირას დასრულდა, ინფორმაციისთვის კი კომისის თავჯდომარეს და უშუალო ტრენერს იმედო ლაცაბიძეს გავესაუბრეთ.

- ბატონო იმედო, როდის მიმდინარეობდა ტრენინგები და რომელ ასაკობრივ ჯგუფებზე იყო გათვლილი?

– ტრენინგები 15-დან 26 ივლისის ჩათვლით მიმდინარეობდა ხაშურის №35 საოლქო საარჩევნო კომისიაში, რომელშიც 18-დან 24წლამდე ახალგაზრდები მონაწილეობდნენ.

- რის საფუძველზე შეირჩნენ ახალგაზრდები ტრენინგში მონაწილეობისთვის?

– განაცხადების საფუძველზე. სულ 23 განცხადება მივიღეთ, მათგან კი 20 შეირჩა. უნდა აღვნიშნო, მათი განსაკუთრებული ინტერესი საარჩევნო სისტემის მიმართ. ტრენინგზე ძალიან აქტიურმა, მონდომებულმა და განათლებული ახალგაზრდებმა მოიყარეს თავი. ყველა თანაბრად იყო ჩართული ტრენინგებზე გარკვეული თემების განხილვასა და სამუშაო პროცესში. აქვე დავამატებ, რომ ტრენინგებს ჩემთან ერთად გაუძღვა ქარელის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავჯდომარე ზურა ნადირაშვილი.

- ძირითადად რა თემები მოიცავით აღნიშნული ტრენინგის დროს?

– “საარჩევნო განვითარების სკოლის” სასწავლო პროგრამა შემდეგ საკითხებს მოიცავს: საარჩევნო სისტემები, საარჩევნო ადმინისტრაცია, 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნები, დემოკრატიული საარჩევნო პრინციპები, არჩევითი ორგანოები საქართველოში, არჩევნებში ჩართული მხარეები, არჩევნების გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა, გენდერული თანასწორობა და ა.შ. ბოლო სატენინგო დღეს გავიარეთ სამოდელო არჩევნები. უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან კმაყოფილი ვარ ბავშვების სამოქალაქო განათლების მაღალი დონით.

ნატოს ისტორია

ნატოს შექმნაზე საუბარი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის მიმოხილვით უნდა დავიწყოთ. 1945 წელს, ევროპის ორ ნაწილად დაყოფამ თითქმის ნახევარი საუკუნით განსაზღვრა ამ კონტინენტის, ევროატლანტიკური არეალისა და მილიონობით ადამიანის ბედი. მეორე მსოფლიო ომის დროს სამი მოკავშირის (აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და სსრკ-ს) გამარჯვებამ შექმნა მოლოდინი, რომ ევროპის კონტინენტზე ჰარმონიული თანაცხოვრება და სტაბილური განვითარება იქნებოდა შესაძლებელი. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ილუზია იყო. დასავლეთ ევროპელი ლიდერები და მათი მოკავშირეები რეალისტურად აფასებდნენ საბჭოთა კავშირის ექსპანსიური პოლიტიკიდან მომდინარე საფრთხეებს. ცხადი იყო, რომ გამარჯვებულმა საბჭოთა კავშირმა ევროპაში ფაშისტური დიქტატურის ჩანაცვლება არანაკლებ საფრთხის შემცველი კომუნისტური დიქტატურით განიზრახა. მაშინ, როცა დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა შეასრულეს ომის შემდგომ ნაკისრი ვალდებულებები, სამხედრო ძალების შემცირებასა და სამხედრო მოსამსახურეების დემობილიზაციასთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირი არ ჩქარობდა ამ ვალდებულებების შესრულებას და ევროპის კონტინენტზე სამხედრო ძალების სრულ შემადგენლობას ინარჩუნებდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპაში უსაფრთხოების განსაკუთრებული გარემოებები ჩამოყალიბდა. საბჭოთა კავშირს მომგებიანი პოზიცია ეკავა და ცდილობდა შექმნილი სტრატეგიული უპირატესობით მანიპულირებას. საბჭოთა კავშირის არმია, უკუქცეული მტრის დევნისას, ღრმად შეიჭრა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ტერიტორიაზე. მოახდინა პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, ასევე ავსტრიისა და გერმანიის ტერიტორიების ოკუპაცია და დაიკავა სტრატეგიული პოზიციები. ოკუპირებულ ქვეყნებში საბჭოთა კავშირი მოსკოვისადმი ლოიალურ და კომუნისტური იდეოლოგიის მიმდევარ რეჟიმებს ახალისებდა. ასევე ნათელი იყო, რომ საბჭოთა კავშირის

ზრახვები აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებით არ შემოიფარგლებოდა. საბჭოთა კავშირის ლიდერს, სტალინს კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელება და მისი გავლენის სფეროს გაფართოება სურდა ცენტრალურ და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, კერძოდ საფრანგეთში, იტალიასა და საბერძნეთში, სადაც კომუნისტური იდეოლოგიისადმი სიმპათიით განწყობილი პოლიტიკური ძალების მომძლავრების ტენდენცია თვალში საცემი იყო. მოსალოდნელ საფრთხეზე 1946 წლის 5 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ფულტონში უინსტონ ჩერჩილმა (რომელიც დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერის რანგში წარდგა) გაამახვილა ყურადღება და პირველად გამოიყენა ტერმინი „რკინის ფარდა“.

XX საუკუნის ორმოციანი წლების მიწურულს ევროპის კონტინენტზე მშვიდობის შენარჩუნებისა და აღმშენებლობის გზაზე მნიშვნელოვანია, ჯეროვნად შეფასდეს ამერიკის შეერთებული შტატების დროული და თამამი პოზიცია, რომელიც, ე.წ. შეკავების დოქტრინის სახელითაა ცნობილი. პრეზიდენტ ტრუმენის დოქტრინა, რომლის მთავარი არსი ორ იდეოლოგიას შორის კრიტიკულ შეუთანხმებლობასა და მიუღებლობაში მდგომარეობდა, ევროპის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას ითვალისწინებდა. შეკავების დოქტრინის ავტორი ამერიკელი დიპლომატი ჯორჯ ფ. კენანი გახლდათ, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიული ექსპანსიის შეჩერებას ძალისმიერი პოლიტიკითა და დასავლეთის უხვი ეკონომიკური დახმარებით. ეს დოქტრინა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ჯორჯ მარშალმა განახორციელა, მისი გეგმა “მარშალის გეგმის” სახელითაა ცნობილი. 1948 წლის 2 აპრილს აშშ-ის კონგრესმა მიიღო კანონი “ევროპის აღორძინების” შესახებ, რომლის მთავარი ამოცანა ეკონომიკურ დონეზე კომუნიზმის შეკავება გახლდათ. „მარშალის გეგმის“ შედეგად, თექვსმეტმა ევროპულმა სახელმწიფომ აშშ-სგან 13 მლრ დოლარის დახმარება მიიღო.

მარშალის გეგმა

1947 წლის ივნისში, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ჯორჯ მარშალმა, ჰარვარდის უნივერსიტეტში გამოსვლისას აუდიტორიას გააცნო გეგმა, რასაც შემდგომში მარშალის გეგმა ეწოდა. მარშალმა აღწერა ის უკიდურესი გაჭირვება და უიმედობა, რომელიც მეორე მსოფლიო ომგამოვლილ ევროპაში სუფევდა. ამის შემდეგ, მან შეახსენა ამერიკელებს, რა გავლენა შეიძლებოდა მოეხდინა ევროპის სამუდამო განადგურებას მათსავე ეკონომიკაზე. გეგმა არც ერთი იდეოლოგიისა თუ სახელმწიფოს წინააღმდეგ არ იყო მიმართული. მიუხედავად ამისა, სტალინის მითითებით, ე.წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებმა უარი თქვეს აშშ-ის დახმარების მიღებაზე. მარშალის გეგმა ითვალისწინებდა ამერიკელთა დახმარებას ევროპის რეკონსტრუქციისა და ეკონომიკური აღორძინების პროცესში. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისათვის მარშალის გეგმით გათვალისწინებული დახმარების გასანაწილებლად შეიქმნა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის კომიტეტი. ეს გეგმა მოგვიანებით ევროპის აღორძინების პროგრამად გადაიქცა. აშშ-ის მოთხოვნით, აღნიშნული დახმარების შესაბამის პრიორიტეტებზე განაწილება ევროპელებს უნდა ეკისრათ. ამ მიზნით, ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის კომიტეტი ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციად გადაკეთდა. პროგრამა 1952 წლამდე გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში ევროპის რეკონსტრუქციისა და ეკონომიკური აღორძინებისათვის გაწეულმა დახმარებამ 13 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა. მარშალის გეგმით, პრეზიდენტ ტრუმენის მიერ გამოცხადებული დოქტრინითა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შექმნით შეერთებული შტატები აქტიურად ჩაერთო დასავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესებში.

მდგომარეობა განსაკუთრებით 1947-1949 წლებში დაიძაბა. უნდა გამოიყოს სახელმწიფო გადატრიალება ჩეხოსლოვაკიაში და ბერლინის ბლოკადა, რომელიც 1947 წელს დაიწყო. ცხადი გახდა, რომ დასუსტებული ევროპის ქვეყნები დამოუკიდებლად ვერ შეძლებდნენ თავის დაცვას და გაეროს წესდება და სხვა არსებული საერთაშორისო მექანიზმები ევროპის დემოკრატიული და თავისუფალი განვითარების გარანტი ვერ იქნებოდა. 1948 წლის მარტში დასავლეთ ევროპის ხუთმა სახელმწიფომ – ბელგიამ, დიდმა ბრიტანეთმა, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდებმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს „ბრიუსელის პაქტს“. ეს კავშირი მიზნად ისახავდა ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობას და თავდაცვის საერთო სისტემის შექმნას, რომელიც საბჭოთა კავშირის იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და სამხედრო ექსპანსიას წინ აღუდგებოდა. „ბრიუსელის პაქტი“ დასავლეთ ევროპის საერთო უსაფრთხოების სისტემის შექმნის წინაპირობად იქცა და სწორედ ის გახდა ნატო-ს დაარსების საფუძველი. „ბრიუსელის პაქტის“ ქვეყნები ერთიან თავდაცვით სისტემაში ჩართვის თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადასთან, ასევე დანიასთან, ისლანდიასთან, იტალიასთან, ნორვეგიასა და პორტუგალიასთან. მოლაპარაკებები 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონის ხელშეკრულების (ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება) ხელმოწერით დასრულდა შეიქმნა უსაფრთხოების ერთიანი სისტემა, რომელიც ალიანსში შემავალი თორმეტივე წევრი ქვეყნის მჭიდრო თანამშრომლობასა და საერთო ფასეულობებს ეფუძნებოდა. ჩრდილო ამერიკის ჩართვა დასავლეთ ევროპის დასაცავად მოწმობდა იმას, რომ დასავლეთ ევროპაზე პოლიტიკური თუ სამხედრო ზეწოლის ნებისმიერი მცდელობა წარუმატებელი იქნებოდა. ნატოს თავდაცვის ქოლგის ქვეშ დასავლეთ ევროპამ და ჩრდილო ამერიკამ მალე მიაღწიეს სტაბილურობის უპრეცედენტოდ მაღალ დონეს და ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარებისათვის მყარი საფუძველი შექმნეს. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება, ანუ ვაშინგტონის ხელშეკრულება – ნატოს ფუძემდებლური დოკუმენტი – 1949 წლის 4 აპრილს, ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში, ვაშინგტონში გაფორმდა. ამიტომ უწოდებენ მას ვაშინგტონის ხელშეკრულებას. ხელშეკრულება 14 პუნქტისაგან შედგება. თუმცა, მეხუთე პუნქტი ხელშეკრულების ქვაკუთხედს წარმოადგენს, რომლის თანახმადაც თავდასხმა ერთ წევრ სახელმწიფოზე განიხილება თავდასხმად მთლიანად ალიანსზე.

მოგვიანებით, 1952 წელს, ამ ხელშეკრულებას თურქეთი და საბერძნეთი შეურთდა. 1955 წელს, ვაშინგტონის ხელშეკრულებას გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ მოაწერა ხელი, ხოლო 1982 წელს ესპანეთმა. 1990 წელს, გერმანიის გაერთიანების შედეგად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც გერმანიის განუყოფელი ნაწილი, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შეუერთდა. 1999 წელს, უნგრეთი, პოლონეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა ნატოს წევრები გახდნენ. 2004 წელს ნატოში გაწევრიანდა ევროპის შვიდი ქვეყანა: ბულგარეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია და ესტონეთი. ალბანეთი და ხორვატია, რომლებიც ნატოში 2008 წლის აპრილში ჩატარებულ ბუქარესტის სამიტზე მიიწვიეს, ოფიციალურად ალიანსის წევრები 2009 წლის 1 აპრილს გახდნენ. 2017 წლის 5 ივნისს კი მონტენეგრო ალიანსის 29-ე წევრი ოფიციალურად გახდა.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია შეიქმნა წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმების საფუძველზე, რომელიც-ითვალისწინებდა ამ ქვეყნების თავისუფალ არჩევანს, გაწევრიანების საკითხის საჯარო განხილვასა და შესაბამისს საპარლამენტო პროცედურებს. ვაშინგტონის ხელშეკრულების თანახმად ალიანსის წევრები იღებენ ვალდებულებას და პასუხისმგებლობას ერთობლივად გაიზიარონ კოლექტიური უსაფრთხოების წინაშე მდგარი საფრთხეები. ნატო შეიქმნა ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ და იმ დროიდან მოყოლებული, ალიანსის მთავარი ამოცანაა წევრი სახელმწიფოების თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.ნატოს დაარსებიდან დღემდე ორგანიზაციამ განიცადა არაერთი ცვლილება ახალ გამოწვევებსა და საფრთხეებზე ადეკვატური რეაგირების მიზნით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში

(გაგრძელება. დასაწყისი იხ „ხმ“ #5, 6, 7, 9, 11,12,14,15,16,17, 18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29)

ქინძათი – სოფელი, მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. ჭერათხევის მარცხენა მხარეს. ზ.დ. 820 მ. ხაშურიდან დაშორებულია 22 კილომეტრით, გომიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) – 12 კმ-ით. შედის ალის სასოფლო საკრებულოში.

ქინძათი ერთ-ერთი უძველესი სოფელია. მას იცნობს ვახუშტი ბატონიშვილი და დატანილი აქვს რუკაზე. ასევე იცნობს იოანე ბატონიშვილიც. იგი აფიქსირებს ქინძათს ალის წყლის ხეობის სოფლებში, თუმცა ამ დროს (XVIII ს-ის 90-იანი წლები) აქ მოსახლეობა არ ჩანს.

ქინძათი მოიხსენიება ისტორიული და ეკონომიკური ხასიათის არაერთ დოკუმენტში.

ალექსანდრე დიდის (1412-1442) სიგელის მიხედვით, „ქინძათს მურაჩაშვილს ივანეზას თექვსმეტი კოკა ღვინო და ორი ზურგიელი და ათი კოდი პური” უნდა გაეღო ულუმბის მონასტრისათვის.

იგი ბაგრატიონ-დავითიშვილების მამულია. 1715 წლის 27 თებერვალს, ქართლის მეფე იესე ელიზბარ დავითიშვილისა და გიორგი რამაზიშვილის (დავითიშვილების ერთ-ერთი შტოა) მამულის საქმეზე განჩინებით ქინძათს აკუთვნებს ელიზბარ დავითიშვილს. ელიზბარ და კონსტანტინე დავითიშვილების გაყრის განჩინებით (1716-1724 წწ.) „...ქინძათის ზუარი ელისბარს დარჩა“.

რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთარში აქ დაფიქსირებულია 6 კომლი გლეხი (გოშვარიშვილი, მრაჭველი (2), ქოჩორაძე (3).

ქინძათი გვხვდება უფრო ადრინდელ აღწერებშიც. ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთრის (XVII ს. დამდეგი) მიხედვით, ქინძათში 11 კომლი მოსახლეა (მრაჭველი, ზურაბაშვილი, დათაშვილი, შერმაზანაშვილი, ალუმასშვილი, ტაგანაშვილი...). გვხვდება აყრილი გლეხიც (ალექსიშვილი).

XVII საუკუნის მეორე ნახევრის ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთრის მიხედვით, ქინძათი საუფლისწულო მამულია. აქ სახლობენ ქართველები და სომხები. დავთარში 13 კომლია აღწერილი (მაისურაძე (2), ტერტერაშვილი, ბიბილური, ზღუდრელისშვილი (2), პარუბეგაშვილი, ქოჩორაძე, ქიმერიძე, ტაგანაშვილი, ჯანიასშვილი, ინასარიძე...).

ქინძათი გვხვდება აღწერის სხვა დოკუმენტებშიც, რომლებშიც თითქმის იგივე გვარები და კომლთა რაოდენობაა (II–დან 14–მდე) დაფიქსირებული. ზემოთ აღნიშნულ გვარებთან ერთად დოკუმენტებში გვხვდება რამდენიმე სხვა გვარიც, კერძოდ, შავალაშვილი, ნურალაშვილი, გურაბანიძე, მურადაშვილი...

ქინძათში 1728 წელს დაფიქსირებული 17 კომლი, რომელიც იხდის ყველა ოსამალურ გადასახადს 7820 ახჩის ოდენობით.

1865 წელს ქინძათში 9 კომლი ცხოვრობს (8 სახელმწიფო და 1 დროებით ვალდებული), 1886 წლის აღწერით, აქ უკვე 29 კომლი მოსახლეა (105 კაცი და 89 ქალი, სულ 194 კაცი). აქედან 20 კომლი ქართველია, ხოლო 9 კომლი - სომეხი.

ქინძათში სახლობენ გვარები: ბარბაქაძე, გაგნიძე, დარბაიძე, ენჯიბაძე, ინასარიძე, კურტანიძე, მიქელაძე, მულაძე, ნოზაძე, საყვარელიძე, ტეფნაძე, ქიტიაშვილი, ხაჩიძე...

სახელწოდება ნაწარმოებია –ათ სუფიქსით, –ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია, ფუძეა –ქინძ. ამრიგად, სახელწოდება ქინძათი მცენარეულის ამსახველ ტოპონიმებს მიეკუთვნება. სახელწოდება ქინძათს პროფ. გ. ყორანაშვილი ზანური წარმოშობის სახელად თვლის, რადგან სუფიქსი „- ათი” ამ ენის კუთვნილებაა.

ქინძათში მდებარეობს წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც გვიანფეოდალური ხანით თარიღდება. ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩნდა ქვის სტელის ბაზისი, რომლის ერთ-ერთ გვერდზე წრიულ ჩარჩოში ჩასმულია ბოლნური ჯვარი. ქვა ადრინდელი ფეოდალური ხანით არის დათარიღებული, ინახება ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ქუცუმა – ნასოფლარი, მდებარეობს ლიხის ქედის ზეგანზე, რიკოთის უღელტეხილზე, ხაშურისა და ხარაგაულის რაიონების საზღვარზე.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ქუცუმას არ იცნობენ, არც ისტორიულ წყაროებსა და დოკუმენტებში გვხვდება.

აქ მდებარეობს წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც გვიანფეოდალური ხანით თარიღდება.

ღანძილები – ნასოფლარი მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე. მდებარეობს ხალების სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე.

შედიოდა ისტორიულ საციციანოში.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ამ სოფელს არ იცნობენ, არც ქართულ ისტორიული თუ ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში გვხვდება.

1945 წლის მონაცემებით, ღანძილებში შემდეგი გვარები ცხოვრობდნენ: ბარბაქაძე, გასიშვილი, გორელიშვილი, პაპაშვილი, ნახაპეტიანი, პაქსაშვილი, ლურსმანაშვილი, ბიწაძე...

ღანძილებიდან მოსახლეობა XX ს-ის 50-იან წლებში გადასახლეს ხაშურში და სოფელიც მოიშალა.

სახელწოდება მომდინარეობს მცენარისაგან. პროფ. ალ. ღლონტის მიხედვით, ხანძილი, ღანძილი, მცენარეა. ამავე დროს, ღანძილი მოხეურში ნორჩი, ახლად ამოსული ყლორტია. ჩვენს შემთხვევაში სახელწოდება მრავლობითშია მოცემული. ადგილობრივი ტრადიციის მიხედვითაც, „რადაც ბალახი არის ღანძილი... ძალიან ბევრი იყო და ამიტომ შეერქვა ღანძილები“–აღნიშნავენ აქაურები.

ღანძილებში შემორჩენილია რამდენიმე ეკლესიის ნანგრევი. კერძოდ, წმ. გიორგისა და ქარტის წმინდა გიორგის ეკლესიები. არის რამდენიმე საჯვარე (ბარბაქაძეებისა და პაქსაშვილების უბანში) და სხვა.

ღართა – სოფელი, მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე. შედის ხალების სასოფლო საკრებულოში.

ძველი სოფელია, შედიოდა ისტორიულ საციციანოში.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ამ სოფელს იცნობენ. ვახუშტის დატანილი აქვს რუკაზე, ხოლო იოანეს დაუფიქსირებია თავის „აღწერაში.” მის დროს აქ მოსახლეობა არ ჩანს.

1886 წლის აღწერით, ღართაში 10 კომლია (56 კაცი და 51 ქალი, სულ 107 კაცი), მოსახლეობა, ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, მთლიანად ოსურია.

ღართიდან 1991 წელს ოსური მოსახლეობის ერთი ნაწილი სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად.

აქ სახლობენ გვარები: ბიწოშვილი და გაგლოშვილი.

ტოპონიმიკურ სახელთა საწარმოებლად ხშირად არის გამოყენებული სუფიქსი –თ–ა. ღართი ს. ს. ორბელიანის განმარტებით, საწვიმარი ნაბადია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახელწოდება ღართას საფუძვლად უნდა დადებოდა ღარ ან ღარი. ღარ (ნაღარი) ს.ს. ორბელიანის მიხედვით, „ხნულთ შუა დარჩომილი კორდია”, ხოლო ღარი (ბელღარი) „რუსათვის ღარის ხიდია”, ან „ღარის ხიდი რუსათვის, ღარის ხიდი წყალთათვის” ან უბრალოდ, „ღარის ხიდი”.

გ. ბედოშვილი ტოპონიმ ღართისკარზე, როგორც მეორეულ ტოპონიმზე, საუბრის დროს, მისგან გამოჰყოფს ძირეულ ტოპონიმს - ღართას და წერს: ღართა (აქედანაა ღართისკარი) ერთ-ერთი უძველესი ქართული ტოპონიმია. იგი მოხსენიებულია ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“, აგრეთვე „მატიანე ქართლისა“-ში ჯერ წმ. ნინოს

მოღვაწეობის, ხოლო შემდეგ ბაგრატ IV-ის ფადლონის წინაღმდეგ ბრძოლის ამბებთან დაკავშირებით. აღნიშნულ ქრონიკებში ღართა მოხსენიებულია როგორც „იწრონი ადგილნი“; ვახუშტი ბატონიშვილსაც ღართისკარი „ღრმა ხევად“ აქვს მოხსენიებული: „ხევი ღრმა და მშრალი“.

ტოპონიმი ღართა (ღართისკარი) წარმომდგარია სიტყვა **ღარი** - საგან, რომელიც თავდაპირველად ხევის, ღრმულის სინონიმი უნდა ყოფილიყო. ამიტომაც არის, რომ ღარ-სიტყვის მიხედვით ჩვენში არაერთი სოფლის სახელი და უფრო მეტი მიკრიტოპონიმი წარმოქმნილა: **ღართა** (სოფელია ქართლში, ხაშურის რ.), **ღარ-ი** (სოფელია რაჭაში, ონის რ.), **ღარისთავ-ი** (სოფელი შიდა ქართლში, ზნაურის რ.), **ღარისწყალი** (ქვემო და ზემო) (დუშეთის რ.) **ღარისხევ-ი** (სოფელი ზემო იმერეთში, ხარაგაულის რ.), **ღარულა** (მდინარე ონის რ-ში, რიონის მარცხენა შენაკადი), **ქოხისღარ-ი** წყარო ს. უბისაში (ხარაგაულის რ.), **შავი ღარ-ი** ღელეა ს. ცხენთაროში (ზესტფონის რ.), **ღარათა** - ღელეა ზემო იმერეთში (სოფ. ითხვისი, ქორეთი, შროშა), **ღარა მთა**, „დაღარულ-ხევებიანი მთა“

ღართისკარი მეორეული ტოპონიმია. „იგი როგორც უკვე ვთქვით,-განაგრძობს მკვლევარი,- წარმომდგარა დამოუკიდებლად არსებული ღართა მიკროტოპონიმისაგან. თავის მხრივ ღართა გაფორმებულია უძველესი ქართული -თა სუფიქსის გამოყენებით, რომელსაც ძირითადად კრებითობა-სიმრავლის აღნიშვნა ჰქონდა დაკისრებული. შდრ. **ბერ-თა, ვან-თა, მოგვ-თა, მცხე-თა, ქვაბ-თა, გუბ-თა, ჩხიკვ-თა, მოწამე-თა...** მაშასადამე, ტოპონიმი ღარ- თა ნიშნავს „ღარებად დახრამული ადგილი“, „ხევებიან ადგილი“. შემდგომ ღართას დართვია საქართველოს ტოპონიმიაში ერთობ გავრცელებული სიტყვა „კარი“, რომელიც სიტყვასიტყვით **ადგილს** ნიშნავს. შდრ. **კლდეკარი, წყაროთკარი, ქვაბთკარი, ხიდიკარი, სიპიკარი, ოხვამეკარი** (-სალოცავის კარი ანუ ადგილი), ბანცურთკარი (-ბანცურების სოფელი), **ჯიხასკარი** (-ციხისკარი), **ტაშისკარი, მაღაროსკარი** და სხვ. მრ“.

ნათელი ეტიმოლოგიის მიუხედავად (ღარი-ღართა) ტოპონიმს რატომღაც სიტყვა ღარდას უკავშირებენ, - აღნიშნავს გ. ბედოშვილი.

გ. ბედოშვილის მსჯელობა სახელწოდება ღართაზე სავსებით გასაზიარებელი და მისაღებია ხაშურის რაიონს ღართაზეც.

ღართაში მდებარეობს ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევები, რომელიც გვიანფეოდალური ხანით თარიღდება.

ამავე სახელწოდების სოფელია ასპინძის რაიონში.

ღვრიაწყალი – სოფელი, მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, ზ.დ. 720 მ. ხაშურიდან დაშორებულია 12 კილომეტრით. შედის ხალების სასოფლო საკრებულოში.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ღვრიაწყალს არ იცნობენ, არც ქართულ ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში გვხვდება.

შედიოდა ისტორიულ საციციანოში.

1886 წლის აღწერით, აქ 10 კომლი მოსახლეა (44 კაცი და 28 ქალი, სულ 72 კაცი). მოსახლეობა, ეროვნული თვალსაზრისით, მთლიანად ოსურია.

1925 წელს ღვრიაწყალზე ცხოვრობდა 19 კომლი.

აქ სახლობენ გვარები: გაგლოშვილი, გასიშვილი, გობოზაშვილი, პაქსაშვილი, ფილიშვილი...

სახელწოდება სიტყვათშეერთებით არის მიღებული. ღვრია – ზედსართავი, ხოლო წყალი არსებითი სახელია.

ღუდა– ნასოფლარი თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე. დიდი და პატარა ღუდის ძველი სახელწოდება. მდებარეობს ხალების სასოფლო საკრებულო ტერიტორიაზე.

შედიოდა ისტორიულ საციციანოში.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები მის შესახებ არაფერს გვაწვდიან.

მოიხსენიება XVII ს-ის II ნახევრით დათარიღებულ დოკუმენტში, რომელიც წარმოადგენს ბაიკა სახლთუხუცესისა და მამუკა მაღრაძის მამულის საქმეზე განჩინებას. მასში ნათქვამია, რომ განჩინებით მამული „ღუდისაკენ მამუკას დარჩა“.

1886 წლის აღწერით, ღუდაში 28 კომლი სახლობს (119 კაცი და 104 ქალი, სულ 223 კაცი). მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა მთლიანად ქართულია და გადმოსულები არიან იმერეთიდან.

1921 წლის შემდეგ ღუდა სასოფლო საბჭოს ცენტრი იყო.

აქ სახლობდნენ გვარები: გრიგალაშვილი, ლომიძე, ბლიაძე, გიკაშვილი, თედეშვილი, ლურსმანაშვილი, ქელეხსაშვილი, ტაბატაძე, ბიწაძე ...

მკვლევარი ნ. ოთინაშვილს ლიახვის ხეობაში დაფიქსირებული აქვს ტოპონიმი: ღუდათი, ღუდათები, ღუდადები, რომელიც ეწოდება ცხინვალი-კეხვის საავტომობილო გზის დასავლეთით ვრცელ სახნავ-სათესებს. ეს ტერიტორია სოფლების – აჩაბეთის, ქურთისა და კეხვის საკუთრებაა. მკვლევარი აღნიშნავს: „მსგავსი სახელი გვხვდება ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანეში „ძეგლი ერისთავთა”, ფორმით „ღუდაი”. აღსანიშნავია, რომ ამჟამად ონის რაიონში ცნობილია სოფელი ღუნდა. ვფიქრობთ, რომ ღუდათი (ღუდათები, ღუდადები), ღუდაი და ღუნდა ერთი და იმავე ფუძისაგან ნაწარმოები ტოპონიმებია. ეს ფუძე უნდა იყოს ღუდა, რომელიც დაცულია კომპოზიტში დადა-ღუდა.

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ღადა-ღუდა არის „კაპან ავი სავალი”. ქართული ენის განმარტებით, ლექსიკონში დამოწმებულია საბას ზემოხსენებული განმარტება და დამატებით ნათქვამია, რომ ეს არის „ოღროჩოღრო, ღორღიანი, ძნელად სავალი ადგილი”.

ასეთი განმარტება ზედმიწევნით მიესადაგება ზემოხსენებულ ტოპონიმს – ღუდათებს (ღუდადებს.)

თუ ჩვენი ვარაუდი, სწორია, გამოდის, რომ ერთ შემთხვევაში ღუდა აღებულია უაფიქსოდ („ღუდაი”), იმავე ფუძეში ნ–ს განვითარებით მიღებულია ღუნდა (შდრ. წმიდა – წმინდა, ჭადარი – ჭანდარი და სხვა), მეორე მხრივ კი ტოპონიმი ნაწარმოებია –ათ სუფიქსით და შემდეგ მრავლობითის ფორმით არის დამკვიდრებული (ღუდ–ათ–ები), რაც შეეხება ღუდადებს, ის ასიმილაციის შედეგად უნდა იყოს მიღებული.

შევნიშნავთ, რომ კომპოზიტ ღადა-ღუდას ფუძესთან შეიძლება, დაკავშირებული იყოს აგრეთვე ტოპონიმი ღადო, რომელიც გვხვდება ჯერ კიდევ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში”: „სათიბელი ქვეყანაი რაითურთით არა არს, არცა იქმნების ღორღოვანთა მათ ფიცხელთა მწყურვალთა მათ ღადოთაისა.”

წარმოდგენილი დახასიათება კარგად უდგება ღადა-ღუდას, როგორც ოღროჩოღრო და ღორღლიანი ადგილის განმარტება”.

მკვლევარი, როგორც ჩანს, არ იცნობს ხაშურის რაიონის ღუდას. ის რაც ზემოთ აღნიშნულ ტოპონიმზე ითქვა, თავისუფლად შეიძლება გავავრცელოთ ჩვენთვის საინტერესო ღუდაზეც.

ღუდა, როგორც დასახლებული პუნქტი, მოიშალა XX ს-ის 50-იან წლებში, როცა მოსახლეობა გადაასახლეს ხაშურში.

ღუდის სახელით ცნობილი სოფელია მცხეთის რაიონშიც.

როგორც პატარა, ასევე დიდ ღუდაში, შემორჩენილია ღვთისმშობლის ეკლესიები (გვიანფეოდალური ხანა).

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- ეროვნული გამოცდები -

ალექსი ქურდაძემ ქართულ ენასა და ლიტერატურაში უმაღლესი შეფასება დაიმსახურა

ხაშურელმა ალექსი ქურდაძემ, საქართველოს ეროვნულ გამოცდებზე, ქართული ენისა და ლიტერატურაში, 69 ქულა აიღო. მაქსიმალური კი,70 ქულა იყო. ის ხაშურის მერვე საჯარო სკოლაში სწავლობდა. აღსანიშნავია, რომ ასეთი მაღალი ქულა, მთელი ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ სამმა აბიტურიენტმა მიიღო.

„60 ქულაზე მეტს ველოდი, მაგრამ ამდენს არა. ერთი ქულა გრამატიკაში დამაკლდა, მხატვრული ტექსტის ანალიზში. საერთო ჯამში გამოცდა რთული არ იყო, თუმცა, მეშინოდა დროში რამდენად ჩავეტეოდი, თავიდან გადავიკითხე შეცდომები რომ არ დამეშვა. მინდა თავისუფალი ბიზნესის ადმინისტრირებას დავეუფლო. ამისთვის დამატებით საგნად მათემატიკა მაქვს არჩეული. ქართულ ენაში პირველი ვარიანტი შემხვდა. დავწერე ესსე „მასმედიის როლი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში-საბჭოთა კავშირი და „ფეიკ“ ნიუსები“. რეპეტიტორთან მხოლოდ ერთი წელი ვემზადებოდი“ - უთხრა შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრს ალექსი ქურდაძემ.

მეორე დავალება „ესსე“ იყო - მასმედიის გავლენა საზოგადოების განწყობაზე. არგუმენტირებული მსჯელობით უნდა დაგვეწერა, ვეთანხმებოდით თუ ან არ ვეთანხმებოდით. მე, ძირითადად, პარალელები გავავლე პროპაგანდაზე, და დავეთანხმე, რომ მედიას შეუძლია შეუცვალოს ადამიანების განწყობა და დააფორმიროს მათი აზრი.“ - გვითხრა ალექსი ქურდაძემ.

თუ როგორ იყენებდა საბჭოთა კავშირის პროპაგანდას, ამის თაობაზე ალექსი გვიყვება:

„რომ საზღვარგარეთიდან არ შემოსულიყო ინფორმაცია, რომ დღევანდელი რუსეთი იყენებს ფეიკნიუსებს, რომ საზოგადოება დასავლეთის წინააღმდეგ განაწყოს“ - ამბობს ალექსი.

ალექსი ქურდაძე რამდენიმე სასკოლო ოლიმპიადის გამარჯვებულია, მათ შორის „ალგორითმის“, სადაც ის საუკეთესო ათეულის წევრად დასახელდა. მე-8 სკოლის ყოფილი მოსწავლე ასევე 2017-2018 სასწავლო წლების ეტალონის გამარჯვებულია.

იცვლება გარე განათების სისტემები

დაბა სურამში, აღმაშენებლის ქუჩაზე და ხაშურში, თამარ მეფის ქუჩაზე გარე განათების სამუშაოები მიმდინარეობს.

არსებული გარე განათება მკვეთრად გაუმჯობესებული ფარებით იცვლება. გარე განათება ეკონომიურობით და განათების მაღალი ხარისხით გამოირჩევა, ამასთანავე, გაცილებით გამძლეა.

ახალი განათების ახალი ფერები, საწყის ეტაპზე, სურამისა და ხაშურის ცენტრალურ ქუჩებზე, შემდგომ კი მთელს მუნიციპალიტეტში მოეწყობა.

გარე განათების სამუშაოებს ა(ა)იპ "ხაშურსერვისი" ახორციელებს.

მოსწავლეები სკვერის მოწყობაზე ზრუნავენ

პროექტის "მედია წიგნიერება" ფარგლებში სსიპ სურამის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეების ინიციატივით გვერდისუბანში სკვერის მოწყობა დაიწყო.

მოსწავლეებმა სკოლის დირექტორთან, დალი ბროლიძესთან ერთად ითანამშრომლეს ადგილობრივ მთავრობასთან, რომელმაც სკვერის კეთილმოწყობისთვის ბავშვებს ადგილი გამოუყო და მომავალში მის შემოღობვას დაპირდა.

პროექტის გუნდმა ასევე ითანამშრომლა ენერგო-პრო ჯორჯიასთან რომელმაც, სკვერისთვის მაგიდის დასამზადებლად მათ კაბელის ხის ბარაბანი გადასცა.

მომავალში სკვერი შემოიღობება და ნარგავებით გალამაზდება.

- განცხადება -

იწყება ტურნირი მინიფეხბურთში

ხაშურის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის პოპულარიზაციისა და ახალგაზრდობის ჩართულობის მიზნით, 12 - 25 აგვისტოს, მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურისა და სასპორტო სკოლის ინიციატივით, გაიმართება, ხაშურის მუნიციპალიტეტის პირველობა მინი–ფეხბურთში.

შეჯიბრში მონაწილეობისათვის განაცხადები მიიღება სასპორტო სკოლაში 9 აგვისტოს 15:00 საათამდე.

ღონისძიება ჩატარდება კულტურისა და დასვენების პარკში არსებულ ხელოვნურსაფარიან მოედანზე.

განაცხადში შეყვანილი უნდა იყოს 10 ფეხბურთელი (ნებადართულია იყოს 1 მოქმედი ფეხბურთელი).

კენჭისყრა შედგება 9 აგვისტოს 15:00 საათზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლაში. (მისამართი: იმერეთის ქუჩა, ახალი კომპლექსი)

საკონტაქტო პირი: სასპორტო სკოლის დირექტორი ივანე ხარაზიშვილი - ტელ: 591992225.

სპორტკომპლექსი - 0368 24 00 54

სურამის ხედი რიკოთის უღელტეხილიდან....

რობერტ სუხიაშვილი იუწყება რომ გარდაიცვალა
იური ბეჟუაშვილი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.